ძეგლი თოვჩიის პრისელი ვიონლი

195
90

6

фонд 287 опись 1 ед. хр. 90

фонд 287 опись 1 ед. хр. 90

დასკანირებულია
15.01.2025 7

9გ.

1

# შელახული ღირსება

შაბათს, მიცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავ დიდის ლოცვისათვის რომ მიესწრო, ერმინი ადრე ადგა. სიცხე დაკლებული ჰქონდა, მაგრამ პირის სიმ-ღაშით და სიმშრალით გრძნობდა, რომ ნორმამდე მაინც არ იყო დასული. გა-ზომვის დრო არ იყო. სასწრაფოდ ჩაიცვა, რაც თბილები ჰქონდა. ფეხები ორ-მაგი წინდებით შეიფუთა. პალტომ, ბეწვის ქუდმა და მატყლის კაშნემ ტანში სიმხურვალე შემატა. ამით გამხნევდა-"არაფერი მიშავს", კარი გაალო და რვა საათზე ბინიდან გავიდა.

გარეთ მარტის სუსხიანი ქარი ქროდა, ციოდა, შავი ღრუბლები ჩამოსწო-ლოდა ქალაქს. ქუჩაზე აქა-იქ ნაწვიმარი წყლის პატარ-პატარა გუბეები იდ-გა. [illegible] ტაქსი არ გამოჩნდა. ერმინს ერთ ადგილზე დგომის ეშინოდა, ფეხები არ გაცივდე-სო. ერთხანს წინ და უკან დაიწყო სიარული, მერე საათს დახედა, „დამა-გვიანდება" გაივლო გულში, ფალიაშვილიდან მოსაშვილის ქუჩის გადაკვეთით ვეირაზისკენ წავიდა, ჭავჭავაძის პროსპექტზე ტაქსი შეაჩერა, მიხეილ წევრის ეკლესიამდე მიმიყვანეო, უთხრა მძღოლს და შიგ ჩაჯდა.

მძღოლს არც მოუხედია, ერმინისაკენ, ისე დაძრა მანქანა. "მივუსწრებ, უეჭველად მივუსწრებ", ფიქრობდა ერმინი და თან ცდილობდა გონებით წარმო-ედგინა ის უცნობი სამყარო, რომლისკენაც ასე გამალებით, ასე ზარინდებით მიეშურებოდა. სოფლად, ბავშვობის მხოლოდ ადრეულ წლებში, უნახავს საეკლე-სიო ლოცვის რიტუალი, მაგრამ მეხსიერება შემდეგ არასოდეს შეუწუხებია მისი მოგონებით. თვითონ მას იმ დროიდან არასოდეს გასჩენია სურვილი თუნ-დაც ერთი წუთით შეეხედა ამოდენა ქალაქის რომელიმე მოქმედ ეკლესიაში, გაეგო რა ხდებოდა იქ. საერთოდ, ეს ობიექტი ამოვარდნილი იყო მისი ინტე-რესების სფეროდან არა მხოლოდ ანტირელიგიური მოსაზრებით ან ათეისტური მოძღვრების შეთვისებით ან კიდევ იმის გამო, რომ ორმოც წელზე მეტი ხნის

სტაჟის მქონე კომუნისტი იყო, არა, უბრალოდ, იმიტომ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში თავისუფალი დრო ღვთისმსახურების გაცნობისათვის არ რჩებოდა.

ახლა მოულოდნელად წააწყდა რთულ სიტუაციას. მის წინაშე გარდუვალად წარმოიშვა ეკლესიასთან ახლოს მისვლის აუცილებლობა. ნატოს ცხოვრების ჩრდილოვანი, ფარული გზა სადღაც აქეთკენ მიემართებოდა, სადღაც ბნელეთში უნდა ეძებნა მისი იმ სევდიანი სულის საიდუმლო, რომლის სიღრმეში მხოლოდ მან შეძლო შეღწევა. ისე ახლოს ნატოსთან არავინ მისულა, როგორც თვითონ. მეგობრებს, მთელ კოლექტივს აზრადაც არ მოსვლიათ ჩაკვირვებოდნენ მისი ქცევისა და მოქმედების ცალკეულ ნიუანსებს, რომლებსაც ის სამსახურში კი არ ავლენდა, არამედ პანაშვიდებსა და სამგლოვიარო პროცესებში. ამიტომ მათთვის ნატო ისევ ის დამწუხრებული ნატო იყო და მეტი არაფერი.

დამწუხრებული ვინ არ ყოფილა მზისა და მთვარის ალერსით განებივრებულ, ღარიდით დაბერებულ დედამიწაზე! დედა ვის არ მოკვდომია! შვილი გაგრძელებაა დედის სიცოცხლის. ამიტომ იგი არასოდეს არ მისულა იმგვარ ფანატიზმამდე, რომ დედას ჩაჰყოლოდა სამარეში. ეს ეწინააღმდეგება ბუნების კანონს. ეს განწირული სულისკვეთებაა. საიდან უნდა გასჩენოდა ასეთი დეპრესიული მიდრეკილება ნატოს? მხოლოდ მარტოობის ნიადაგზე?.. ასეთი ფიქრები თუ პრიმიტიული აზრები უტრიალებდა ერმინს თავში. იგი მთლიანად შეპყრობილი იყო ნატოს ხსნის იდეით.

მანქანა შეჩერდა და უცებ ერმინიც გამოერკვა ფიქრებიდან. ფული გადაუხადა მძღოლს. მანქანიდან გადმოვიდა და ეკლესიის ეზოში შევიდა. შენობის უკანა მხარის ფასადი გუმბათამდე ხარაჩოებში იყო ჩასმული. "ვაი, თუ ტყუილად მომიხდა მოსვლა!! - ამისღა გაფიქრება მოასწრო, რომ კარებთან მიახლოებისას, შიგნიდან რაღაც გალობის მსგავსი ხმა მოესმა. ერმინი ვერ ბედავდა შესვლას, არ იცოდა ამ მხრიდან იყო შესასვლელი თუ იმ მოპირდაპირე მხრიდან, რომელიც კარის მინიდან მოჩანდა. ამასობაში კარს შავებით შემოსილი მოხუცი დედაკაცი მოადგა და, შემოდით, ხელით ანიშნა.

ერმინი შევიდა ეკლესიაში. ქუდი მოიხადეო, ჩასჩურჩულა მყისვე უცნობმა. კარებიდან სიცივე შემოდიოდა და ქუდის მოხდა მისთვის საშიში იყო. არადა, ქალი წამდაუწუმ აძლევდა შენიშვნებს. მაშინ ერმინი დარბაზის სიღრმეში შევიდა, ვიღაც მლოცველს უკან დაუდგა და ქუდი მოიხადა. აქ სითბო იგრძნობოდა.

ხატებით, საეკლესიო სურათებით , საცეცხლურებით და სასანთლეებით მორთულ მცირე დარბაზში მოგროვილი სულგანაბული შესცქეროდნენ წარმოსადეგი ტანის შავებით მოსილ, შავწვერებიან მღვდელს , რომელიც სახარების გაზეპირებულ ტექსტს გარკვეული ტაქტით და ემოციით წარმოთქვამდა. მის ყოველ გრძელ პაუზაზე შეკრებილნი თავდახრით ემხობოდნენ იატაკზე, სამჯერ დაკანტურებდნენ თავს და ისევ წამოდგებოდნენ, ისევ მიაპყრობდნენ თვალებს შესაბრალისად ჯვარცმულ იესო ქრისტეს, ისევ გადაიწერდნენ პირჯვარს და ლუღლუნებდნენ და გალობდნენ მწირავ მღვდელთან ერთად. ასე მეორდებოდა ერთი და იგივე.

თავისი ჩაცმულობით, გარეგნობით და შესახედაობით გამოირჩეოდა ერმინი √დამსწრეებისაგან. მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევდა. სამაგიეროდ თვითონ ის აქცევდა ყურადღებას ყველას. თვალებით ნაცნობს დაეძებდა. და, ნებით თუ უნებლიეთ, ყველას უნდა დაკვირვებოდა. მაგრამ ეს დაკვირვება ძალზე გაუძნელდა, რადგან წინ მდგომნი ზურგით იყვნენ მოქცეულნი მისკენ, თითქმის უმრავლესობას ერთნაირი სამოსი ეცვა, ხოლო გვერდით და უკან მყოფთა შორის ნაცნობს სახებაც არ ჩანდა.

ერმინი მიბრუნდა, გასასვლელთან სანთლები იყიდა, თქვენ აანთეთო, თხოვა გამყიდველ ქალს, ქუდი დაიხურა და მეორე კარით გავიდა ეზოში. შემოუარა საყდარს, ტალახიანი გზით მაგისტრალზე გავიდა, ტაქსი დაიჭირა და სწრაფად გაეშურა იქითკენ, სადაც ჭორით ასეთივე ეკლესია ეგულებოდა. ეს იყო კლარა ცეტკინის ქუჩის კუთხესთან.

უკვე ათი საათი სრულდებოდა. ლოცვა გრძელდებოდა. როგორც ხალხით გაჭედილ ტრამვაიში ან ავტობუსში ძნელია ხოლმე ადგილის დაკავება, ასევე

აქაც, შესასვლელიდანვე, ერმინმა დაინახა, რომ დარბაზის სიღრმეში შეღწევა თითქმის შეუძლებელი იყო. არადა, არც კარებთან გაჩერება შეიძლებოდა ქუდიანად. ძალა მოიკრიბა, გვერდით-გვერდით წაიწია წინ, თითქმის შუა დარბაზამდე მიაღწია. აქ სიცხისაგან სუნთქვა ჭირდა. ჰაერი დახუთული იყო. ერთმანეთზე მიკრული მლოცველები ხან ერთი მხრიდან და ხან მეორე მხრიდან გამუდმებით აწვებოდნენ. გალობისა და წირვის საერთო ხმაში მათი ხრიწინი ერმინს შემზარავად ჩაესმოდა ყურში, შიშს უძლიერებდა, ისედაც გრიპული მოვლენებისგან ჯერ კიდევ თავდაუღწეველს, ახალი საფრთხე ელანდებოდა, მაგრამ ნატოს ძებნის, ნახვის და მისთვის ერთი თვალის შევლების სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ მაინც ადგილიდან არ იძროდა. იგი წინ მისჩერებოდა შავებში შემოსილ ერთ მანდილოსანს, რომელსაც უკანა მდგომნი ეფარებოდნენ და გარკვევით ვერაფერს ხედავდა.

ერმინს ერთხანს მართლა ეგონა, სადღაც იქ, წინა რიგებშია ნატო, ალბათ, მოკალათებულიო, ~~[illegible]~~ მაგრამ რაკი მის ვერც იერს, ვერც სილუეტს ვერ ამჩნევდა, თავს იმით ინუგეშებდა, რომ ასეთ ჯოჯოხეთში ნატო როგორ გაერეოდა, თავს როგორ დაიმცირებდა, როგორ იკადრებდა ბებრუხანა ქალების მსგავსად შეესრულებინა წირვის ყველა ის ძველებური წესი და მოთხოვნა, რაც ჩვენს თანამედროვე ცივილიზებულ ეპოქაში სასაცილოდ გამოიყურება. მას არ შეეძლო ერთმანეთთან შეერიგებინა ნატოს პროფესიონალიზმი, დახვეწილი ინტელიგენტობა და მაღალი კულტურა საეკლესიო ვაკხანალიასთან.

ამ ფიქრს რომ მიწვდა, გაუხარდა კიდეც, რომ ვერ ნახა. „სჯობს მიმსგავსებით მოტყუებული დავრჩე, ვიდრე წავაწყდე საზარელ სურათს. ღმერთო, ნუ შემახვედრებ!.. ღმერთო, ნუ მაჩვენებ!.. ღმერთო, ამარიდე!"

ერმინს უნებურად თვალები ცრემლებით აევსო. ახლა უკვე უნდა მორიდებოდა ბრბოს, რათა ნაღდად მორწმუნედ არ მიეჩნიათ. ნელნელა, ისევ გვერდით-გვერდულით გამოაღწია ადამიანთა მჭიდროდ შეკრულ ზღუდეს და როცა დარბაზიდან ჰაერზე გავიდა, ისეთი შვება იგრძნო, თითქოს უმძიმესი ტვირთი მოეხსნაო.

ერმინი მოწყენილი დაბრუნდა ბინაში, ნაგვიანევი საუზმე შეჭამა და გაუხდელად მიწვა აულაგებელ ლოგინზე.

ფანჯარას ქარი და წვიმა ერთიანად მოასკდა, აჯაჯგურდა, წყლის წვეთები დაეკიდა. კიდევ კარგი, მოვასწარიო, გაიფიქრა ერმინმა და სულიერი დაძაბვით მოთენთილს ძილი მოერია.

... იმ საღამოს, გვიან, ნატომ ტელეფონით დაბადების დღე მოულოცა ერმინს. ერმინი მოელოდა და არც მოელოდა მისგან ამას. მოელოდა რვა მარტის მილოცვის საპასუხოდ, ერთგვარი ყურადღების ნიშნად, არ მოელოდა ნატოს იმ ახირებული თვისებებისა და უცნაურობების გამო, რომელთა ნაწილი მისთვის უკვე ცნობილი იყო. კერძოდ, მან კარგად იცოდა, რომ ნატო უკიდურესად თავშეკავებული ქალი იყო. მისი ვარაუდით, იგი ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა. მაგრამ ვარაუდი არ გაუმართლდა.

- გილოცავთ, ბატონო ერმინ! - ნაზად, დაბალი ხმით ეუბნებოდა ტელეფონის ყურმილით ნატო ერმინს.

- რას მილოცავ, ნატო! ასეთი გაუბედურებული დაბადების დღე ჯერ არ გამთენებია.

- რატომ?

- ისევ ვწევარ, ისევ შემიბრუნდა. კათედრის თანამშრომლებმა ტელეფონით შემიკლეს, ნება მოგვეცით გეწვიოთ ან ჩვენ გვეწვიოთო. უარი ვუთხარი მკვახედ და კატეგორიულად. მაშინ ხვალ კიდევ შეგახსენებთო, - მითხრეს. ხვალ კვირაა, თქვენ-თქვენ ოჯახებს მიხედეთ-მეთქი. არაო, - მითხრეს, ვნახოთ, ხვალამდე როგორ იქნებით და ტელეფონით შეგახსენებთო.

-არ უნდა დაწყვიტოთ გული თანამშრომლებს. გაყოლოდით სადმე. ხვალ უეჭველად წაყევით. ცოტა გახალისდებით, ბატონო ერმინ!

- ჩემი გახალისების ბედი თქვენზეა დამოკიდებული, ნატო! თქვენი მწუხარებით აღვსილი გული ჩემს ორ მხრივ მწუხარებასაც მიორკეცებს. ასეთ დროს რა დამაჯენს სუფრაზე.

-დღეს მე ყველგან უსიამოვნებას წავაწყდი და გული პირდაპირ მეთუთქება.

- რატომ, ნატო, რა შეგემთხვა ისეთი. სამსახურში გაწყენინეს?

- არა.

- მაშ, აბა, სად? მგონი ეკლესიაში უნდა წაბრძანებულიყავი დღეს დილით. იქ შეგემთხვა რამე?

- არ ღირს ლაპარაკი.

- სხვათა შორის, ნატო, რაკი სიყვამ მოიტანა, მე იქაც ვიყავი და იქაც სადაც ჩემი ვარაუდით უნდა დადიოდე სალოცავად, და ვერსად გნახე. იყავი თუ არა მართლა რომელიმეში? იქ, იმ კირიჩნის მხარეში, ვიღაცას მიგამსგავსე, მაგრამ ბურანიდან ვერ გამოველი. მოგალობე ქალებში ხომ არ ერიე?

- რას ამბობთ, მაგათთან რა მინდოდა?

- მაშ, ისე წინ იყავი, რომ ვერ გნახე, ვითომ?

ამაზე ნატოს პირდაპირი პასუხი არ გაუცია. ერმინმა ისარგებლა შემთხვევით და აცნობა, რომ რაკი გარეთ გასული ვიყავი და შენ ვერ გნახე, ფოსტით გამოგიგზავნე ის მასალა, ამ დღეებში მიიღებ, უეჭველად წაიკითხე და თქვენი აზრი მითხარიო.

- მე იმ ნაბეჭდის იმედი მაქვს,ნატო , ჩვენს შორის არსებული ბუნდოვანება და გაუგებრობა იმან უნდა გაფანტოს.

არც ამაზე გასცა პირდაპირი პასუხი ნატომ.

-დავსველდი.ქუდი არ მეხურა.-თქვა მან.

-ასეთ ცივ და წვიმიან ამინდში როგორ გახველი უქუდოდ.

- დილით არ წვიმდა. თითქოს თბილოდა. მოვტყუვდი. სასაფლაოზე დიდხანს მომიწია ყოფნა. თავი მისკდება ახლა.

- ვიეტნამური ბალზამი გქონდა სადღაც შენ, ნატო, მაშინ რომ ვიყავი, დავინახე. ახლავე დადევი ყურმილი,მოიტანე ახლოს და გასწავლი, როგორ უნდა წაისვა.

- მაქვს, როგორ არ მაქვს, მაგრამ შველის რამეს?

- უეჭველად შველის. ტკივილს მოგიხსნის.

- -კანს არ გამიფუჭებს?

- არა, სრულიად არა.

- კარგი. მოვიტან .

ყურმილში ხმა მიწყდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ აღდგა.

-ახსენი მაზის ზედაპირი. საჩვენებელი თითით შუბლის ერთი კიდიდან მეორე კიდემდე წაისვი თხლად, მერე დაზილე იმავე თითით, ერთი წუთის შემდეგ დააკვირდი, ტკივილმა უნდა გაგიაროს.

- კარგი, წავისვამ, მაგრამ ჩემს სატკივარს ეს რას შველის?

- ახლა რაზე ხარ შეწუხებული, ნატო ?

-სხვისი საფლავების გამო. არ უვლიან კარგად. მე მიხდება მაგათ მაგივრად მუშაობა.

- ეს მეტისმეტია, ნატო. აკი ერთხელ გითხარი -ყველაფერს საზღვარი აქვს-მეთქი.

- რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია, - თქვა ეს ნატომ და გულამომჯდარი ქვითინი მოისმა ყურმილიდან. ერმინმა ხმის აწევით სცადა დაემშვიდებინა ნატო, მაგრამ ამაოდ. ბოლოს შეახსენა.

- რა ქნა, ცოტა არ დაგიამა ტკივილები?

-თითქოს კი, ოდნავ მომეშვა.

- ხვალ დილით ისევ წახვალ სალოცავად?

- ო, ნუ მეკითხებით ასეთ რამეზე. მშვიდობით.

- ძილი ნებისა , ნატო.

მაგრამ ნატოსთვის ის ღამეც ისეთივე მშფოთვარე, უძილო და ცრემლიანი იყო, როგორიც წინა, როგორც იქითა, იქითა და კიდევ იქითა ღამეები.

კვირა დილას ერმინი ისევ ეწვია მიხეილ ტვერის ეკლესიას. რაკი გუშინ სხვაგან იყო, დღეს აქ მოვიდოდაო, ფიქრობდა. მაგრამ არც ამ დილით გაუმართლდა მოლოდინი. დარბაზში მლოცველები, შედარებით გუშინდელთან, ცოტა იყო. ერმინმა შუაგულ დარბაზში კატაფალკი შენიშნა .

- ეს რატომ დგას აქ?- ჩურჩულით ჰკითხა ერთ მლოცველს. მან ჯერ ალმაცერადოხედა, მერე თითებით მიახვედრა, რას მეკითხებითო. ერმინმა ისევ ჩურჩულით განუმეორა კითხვა.

- კატაფალკი რატომ დგას აქ?

- ოო, ერთი მონოზონი მოგვიკვდა. დღეს მოასვენებენ.

- მერე?

- მერე ღამეებს გავუთევთ რიგრიგობით სამრევლოს წევრები.

- მერე? - კიდევ ჩააცივდა ერმინი.

-მერე ხუთშაბათს დავასაფლავებთ.

- რომელ საათზე მოასვენებენ თუ იცით დღეს?

- 12 საათზე

ერმინი ამის შემდეგ არ გაჩერებულა დარბაზში. რაღაც ენიშნა ამ ცნობიდან. დაფიქრებით გამოყვა ეკლესიიდან სამანქანო გზას, უნდოდა ნატოს მოძრაობის მარშრუტი დაედგინა ვერის ძველი სასაფლაოდან ეკლესიამდე. მისთვის აქამდე გაუგებარი იყო, როცა ეუბნებოდნენ, სასაფლაოდან პირდაპირ ფეხით გადადის ეკლესიაში. მართლაც, ადვილი გადასასვლელი ყოფილა. გო გოგებაშვილის ქუჩიდან, ერთი ასახვევი ზემოთ, ფუნიკულიორის ფერდობისაკენ და იქვე, ხელმარცხნივ, მიხეილ ტვერის ეკლესიის გუმბათიც ჩანს.

რაკი სასაფლაოსთან ახლოს გამოიარა, ერმინს გულმა არ მოუთმინა და ნატოს დედის საფლავის ნახვა გადაწყვიტა. უკვე ერთი კვირა იყო გასული, რაც არ ენახა. გოგებაშვილიდან სევასტოპოლის ქუჩისკენ ზევით მიმავალ ქვაფენილზე სასაფლაოს ზედამხედველის ჯულიას დედას დაეწია. მას პური მიჰქონდა. ცალ ფეხს ძლივს მიათრევდა, ჯოხს ებჯინებოდა და ისე ადიოდა კოჭლობით. ერმინმა იცნო მოხუცი, ტვირთი გამოართვა და მასთან ერთად შეუყვა აღმართს.

- გუშინ იყო. - უთხრა მოხუცმა ძლივს გასაგონად. სიტყვებს ვერ ამბობდა გარკვევით. დამბლა დაცემულს ჰგავდა.

- ვიცი. -უპასუხა ერმინმა.

- რას გეუბნება. - კიდევ მიახვედრა სიტყვების დატეხვით მოხუცმა.

- არც კის და არც არას.

- კარგი ქალია, მაგრამ უცნაური.

- თავს დაიღუპავს, თუ ასე დიდხანს გაგრძელდა. მებრალება და ამიტომ

ვერ ვშორდები.

სასაფლაოს რკინის კარებს მიადგნენ, შიგ შევიდნენ. მოხუცი თავისი პურით სახლისაკენ წავიდა, ერმინი კი ნაცნობი ბილიკებით მალე მიადგა ნატოს დედის საფლავს. ყვავილების ოთხი ქოთანი ოთხკუთხივ დაელაგებინა ნატოს გუშინ. მოეკამკამებინა მიწა. ერმინის მიტანილი ყოჩივარდებიანი ქილა, რომელიც ერთი კვირის წინ სხვის საფლავზე იყო გადაგდებული, ახლა არსად ჩანდა. ეწყინა ერმინს. ქოლგის წვერით საფლავის ნაწვიმარ მიწაზე გარკვევით წააწერა: "ვიყავი. 15. 03." და გულმოსული გამობრუნდა უკან.

იმავე დღის თორმეტის ნახევარზე ერმინს გულმა არ მოუთმინა და ისევ წავიდა მანქანით ეკლესიისაკენ. ჩასახვევამდე მანქანა უცებ გააჩერებინა მძღოლს. მან შორიდან შენიშნა ნატო, რომელსაც წითელი მიხაკები ეჭირა ხელში. ყვითელი ჩექმები ეცვა. შავი ქუდი და პალტო არ ეხამებოდა მის ფერს. ფრთხილად ჩადიოდა დაღმართში, სადაც ეკლესია იდგა. ცხადია, უკან არ იხედებოდა და ერმინის მანქანის დანახვა არ შეეძლო. ეს დრო ~~[illegible]~~ მონოზვნის ეკლესიაში გადმოსვენების დროს ემთხვეოდა.

ცოტა ადრე კი იყო მისული.

წყვდიადი ნათდებოდა...

ერმინის ღირსება და პრინციპი უკვე შელახული იყო.

ნაინფარქტალ გულზე დანასავით გაკრა, გაკეწლა, უკბინა რაღაცამ. ფერი შეეცვალა. ოფლი დაასხა შუბლზე. სუსტაკის ერთი მარცვალი პირში ჩაიდო, ნერწყვი დაიგუბა, გადაყლაპა და მძღოლს უთხრა: სასწრაფოდ სამკურნალო კომბინატში წამიყვანეთ.

[illegible signature] 1981